

განმატრებიტი ბარათი

„მავენე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

ბოლო პერიოდში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ხშირია არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გავრცელება. რაც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესების – არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ ("პეკინის წესები") მოთხოვნებს.

„პეკინის წესების“ თანახმად:

- 8.1. ყველა ეტაპზე პატივი უნდა ეცეს არასრულწლოვანის უფლებას კონფიდენციალურობაზე, რათა თავიდან აცილებულ იქნას ზიანის მიყენება უსარგებლო გახმაურებისაგან ან რეპუტაციისათვის ზიანის მიყენებისაგან.
- 8.2. პრინციპულად არ უნდა იქნას გამოქვეყნებული არავითარი ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს არასრულწლოვან სამართალდარღვევის პიროვნებაზე.

ა.ბ) კანონპროექტის მიღების მიზანი

კანონპროექტის მიზანს წარმოადგენს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესების – არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ ("პეკინის წესები") მოთხოვნების შესაბამისად, არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დაცვის უზრუნველყოფა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის შესაბამისად, ახლებურად ყალიბდება კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც „მავენე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანს ემატება არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის წესების დარღვევა.

კანონს ასევე ემატება V¹ თავი – არასრულწლოვანთა კონფიდენციალურობის დაცვის წესები. ამ თავის შესაბამისად: დაუშვებელია არასრულწლოვანთა

კონფიდენციალურობის დარღვევა ისეთი დანაშაულის მედიაში გაშუქებისას, როდესაც არასრულწლოვანი წარმოადგენს ექვმიტანილს, ბრალდებულს, განსასჯელს, მსჯავდებულს, დაზარალებულს, მოწმეს, პირს, რომელსაც არ გააჩნია საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი სტატუსი, თუმცა პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება იმ დანაშაულს, რაც წარმოადგენს მედიის გამოსატვის საგანს. ასევე დაუშვებელია მშობლის, მეურვის ან მზრუნველის თანხმობის გარეშე არასრულწლოვანისგან აღებული ინტერვიუს გამოქვეყნება / გავრცელება არასრულწლოვანის იდენტიფიცირების დარღვევით, თუკი ინტერვიუ ეხება კონკრეტულ დანაშაულს. ამ თავის მოთხოვნათა შეუსრულებლობა გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. თუმცა, დამრღვევი თავისუფლდება ამ თავით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან, თუკი დაასაბუთებს რომ არასრულწლოვანის კონფიდენციალურობის დარღვევით თავიდან იქნა აცილებული სახელმწიფოს, საზოგადოების ან სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესებისათვის არსებითი ზიანი, როდესაც მისი პრევენცია შეუძლებელი იყო სხვა საშუალების გამოყენებით და არასრულწლოვანისათვის მიყენებული ზიანი აცდენილ ზიანს არ აღემატება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტი გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირთა მდგომარეობას, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი
კანონპროექტი არ ადგენს რაიმე სახის გადასახადს ან მოსაკრებელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა.) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს/

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან
კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

და) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში
კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მომუშავე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში
კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტების შეფასება

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი